ᲚᲔᲚᲝ

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

28 იანვარი, კვირა, 1990 წ.
№ 19 (10 188) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲫᲘᲣᲓᲝᲨᲘ

მეორე „ოქრო“ — გიორგი თენაძეს



ᲙᲘᲔᲕᲘ. საქართველოს ძიუდოისტთა სახელოვანი სკოლის წარმომადგენლებმა კიდევ ერთ წარმატებას მიაღწიეს უკრაინის დედაქალაქში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატზე. 71 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონის სახელი და ოქროს მედალი გორელმა გიორგი თენაძემ მოიპოვა. მისი უპირატესობა ამჯერადაც აშკარა იყო. ამაზე მიგვანიშნებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ფინალური ორთაბრძოლა ქართველმა ძიუდოისტმა მახაჩყალის წარმომადგენელს - მაჰომედ ალიევს წმინდად მოუგო.

ამ წონაში ჩვენმა ათლეტებმა კიდევ ერთი წარმატება იზეიმეს. თბილისელ ბათო ჯიქურს ბრინჯაოს ჯილდო ხვდა.

ტექნიკური შედეგები: 1. გიორგი თენაძე (გორი), 2. მაჰომედ ალიევი (მახაჩყალა), 3. ბათო ჯიქური (თბილისი) და ლეონიდ ბედარევი (ჩელიაბინსკი).

სურათზე: გ. თენაძე.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲛᲔᲚᲑᲣᲠᲜᲘ. დამთავრდა ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ქალთა ერთეულებში გაიმარჯვა შ. გრაფმა (გფრ), ვაჟთა წყვილებში — ჯ. ოლდრიჩმა და დ. ვისერმა (ორივე — სამხრეთ აფრიკის კავშირი), შერეულ წყვილებში — ნ. ზვერევამ (სსრკ) და ჯ. პიუმ (აშშ).

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲑᲐᲚᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲥᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ

ფინალების მისადგომებთან

ამ წერილის დასაწყისში ჯერ „თურქულ თემას“ გავაგრძელებთ, გთავაზობთ მოკლე ინტერვიუს ამ ქვეყნის ნაკრების უფროს მწვრთნელ იაკუბ თოფუსთან.

● რატომ არ ჩამოვიდა თქვენი გუნდის ოთხი წევრი თბილისში?

— საგანგებოდ ვემზადებოდით ამ ტურნირისთვის, განსაკუთრებით იმის გამო, რომ შემდეგ მატჩიც უნდა გაგვემართა საქართველოს ნაკრებთან. მაგრამ ექვსმა მოჭიდავემ თქვენს საელჩოში პასპორტები ერთ დღეს მიიტანა, დანარჩენმა ოთხმა — მეორე დღეს. მათ კი უთხრეს, უკვე გვიან არისო. შეიძლება ეს იმის გამოც მოხდა, რომ საბჭოთა საელჩოსთან უამრავი ხალხი შეგროვდა, რომლებიც პროტესტს გამოთქვამდნენ ბაქოში ჯარის ნაწილების შესვლის წინააღმდეგ და მდგომარეობა გართულდა.

● როგორ იმგზავრეთ თურქეთიდან თბილისამდე?

— ცოტა გაგვაწვალა ტრაპიზონიდან ბათუმამდე ავტობუსით ცხრასაათიანმა მგზავრობამ. შემდეგ კი უფრო იოლი იყო. საერთოდ, მოსკოვიდან მხოლოდ სამ მოჭიდავეზე მივიღეთ აქ ჩამოსვლის ნებართვა, დანარჩენები საქართველოს უშუალო მოწვევით ჩამოვედით თბილისში.

● თურქმა მოჭიდავეებმა ბოლო დროს მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. აქ თქვენი უძლიერესი სპორტსმენები გამოდიან?

— არა, თბილისში ძირითადად ახალგაზრდები ჩამოვიყვანეთ — მთავარი ნაკრების უახლოესი რეზერვი. თქვენი ტურნირი ძალიან მაღალი დონისაა და იმედი მაქვს ბიჭები ოსტატობას აიმაღლებენ.



● შედგება მატჩი — საქართველო-თურქეთი?

— შედგება, 29 იანვარს გორში. ახლა ირანელებთანაც მიმდინარეობს მოლაპარაკება, რათა გორში იმათაც ასპარეზონ. მაშინ შეჯიბრება უფრო საინტერესო იქნება.

● თურქეთსა და საქართველოს ერთი საზღვარი ყოფს. ბოლო ხანს იქ მიმოსვლა უფრო გაადვილდა. ალბათ, უფრო გაღრმავდება ურთიერთობა სპორტშიც.

— ჩვენ კეთილმეზობლური ურთიერთობისკენ ვისწრაფვით. ჰიდაობა ამაში გვეხმარება...

თბილისის საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეები საკმაოდ არათანაბრად არიან განაწილებული და ეს გარკვეულად ორთაბრძოლების ხასიათსაც განსაზღვრავს. მაგალითად, 82 კგ წონითს კატეგორიაში 24 მოჭიდავე გამოდის და ეს გარემოება, რასაც მონაწილეთა სიძლიერეც ემატება, ძალზე საპატიოს ხდის გამარჯვებას. 100 კგ. წონაში სულ 9 სპორტსმენი შეგროვდა, აქედან 6 საქართველოს გუნდის წევრია, მაგრამ ყველა ინტერესით მოელის ფავორიტების — ლერი ხაბელოვისა და სანასარ ოჰანესიანის შერკინებას. მძიმე წონაში 12 მოჭიდავე ასპარეზობს, 68 კგ წონითს კატეგორიაში — 20. მოკლედ, მომავალ ჩემპიონებს გამარჯვებისთვის თანაბარი რაოდენობის შეხვედრების ჩატარება არ მოუწევთ.

გუშინ გაცნობეთ დილის შეხვედრების ზოგიერთი შედეგი. უფრო გვიან ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით გობეჯიშვილმა იოლად სძლია თავის პირველ მეტოქეს — უნგრელ ვალენტინ შანდორს.

აუცილებლად უნდა ითქვას სპონსორებზე. ისინი ყოველ შეჯიბრებას აძლევენ მატერიალურ და მორალურ ძალას, რომლის წყალობით იოლად იჭრება ყველა პრობლემა. თბილისის საერთაშორისო ტუ-

იხ. მე-2 გვ.

თებერვალში თბილისში...

თეთრი ცხენი მხოლოდ 1990 წლის სიმბოლო როდი გახლავთ, არამედ სამოყვარულო კეტბურთის ევროპის კონფედერაციის კონგრესის ემბლემაც, რომელიც ჩატარდება თბილისში 8-11 თებერვალს.

„არავითარი ანტვერპენი!“ — თითქმის ერთხმად განაცხადა კონფედერაციის ყველა მონაწილემ, როცა გადაწყვეტილება თათბირის ამ ბელგიურ ქალაქში ჩატარების შესახებ უკვე მიღებული იყო და უპირატესობა ჩვენს დედაქალაქს მისცეს. როგორ მოხდა ეს?

— ვიზის მოცემა ძალიან გამიჯანჯლეს, — გვიყვება სამოყვარულო კეტბურთის ევროპის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის კეტბურთის ფედერაციის თავმჯდომარე რამაზ გოგლიძე, — ამიტომაც დავიგვიანე პარიზში გამართულ წინა თათბირზე. მაგრამ დავიყოლიე კონფედერაციის წევრები, რომლებსაც უკვე მიეცემული ჰქონდათ ხმა ბელგიის სასარგებლოდ, გადაეხედათ თავიანთი არჩევანისთვის. ვუამბე მათ, რომ საბჭოთა კავშირში, რომლის მიმართაც ახლა მთელ მსოფლიოში უდიდეს ინტერესს იჩენენ, კეტბურთი სპორტის სულ უფრო პოპულარული სახეობა ხდება, საქართველო კი ამ მხრივ ერთ-ერთი პიონერია. მოხარული ვარ, რომ ყველაზე „შეუდრეკელი“ ოპონენტების გადმობირებაც კი შევძელი, შევძელი დამეინტერესებინა ისინი ჩვენი რესპუბლიკით, მისი უძველესი ისტორიითა და მდიდარი ტრადიციებით. მეტსაც გეტყვით: ნავარაუდები 55 ადამიანის ნაცვლად, თბილისში ჩამოვა კონფედერაციის შემადგენლობაში შემავალი პრაქტიკულად ყველა ევროპული სახელმწიფოს კეტბურთის ფედერაციათა 80 წარმომადგენელი.

როგორი იქნება კონგრესის პროგრამა? ჩატარდება თათბირები კეტბურთის და სოფტბოლის მიმდინარე პრობლემებზე. სხვათა შორის, კეტბურთის ეს ნაირსახეობა, რომლითაც ძირითადად ქალები არიან

იხ. მე-2 გვ.

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲘ... ნელი ვალსით დაიწყო. მერე იყო ტანგო, ფოქსტროტი.

ფეხბურთის გულშემატკივრებისა არ იყოს, თუ ევროპულს სამხრეთამერიკული გირჩევნიათ, არც თქვენ დარჩებოდით გულნაკლული — ევროპულ ცეკვებს მოჰყვა „ჩა-ჩა-ჩა“, სამბა, რუმბა, პასადობლი.

მიხვდით, ალბათ, რაზეა ლაპარაკი: როგორც ვიუწყებოდით, თბილისის ბავშვთა კალათბურთის სახლე მასპინძლობს სპორტული (ხამეჯლისო) ცეკვების ღია საკავშირო კონკურსს „თბილისი-90“ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრიზზე. პირველ დღეს, 26 იანვარს, სარბიელი დაეთმოთ C (მოზარდთა) კლასში მოსახპარეზე წყვილებს. დღეს შემოთავაზებულ ხურათებზე სწორედ მათი კონკურსის ამსახველი მომენტებია აღბეჭდილი. გუშინ შეჯიბრებაში ჩაებნენ უფროსი ასაკის მოცეკვავეები.

ჯემალ კახრაძის ფოტოები.

ᲭᲐᲒᲣᲠ ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔᲗᲐ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲖᲔ

ᲚᲔᲜᲘᲜ�გᲠᲐᲓᲘ გამართულ კლასიკური სტილით მოჭიდავეთა საკავშირო ტურნირში ჭიათურის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა შვიდი მედალი მოიპოვეს. პირველ ადგილებზე გავიდნენ: შმაგი ტეფნაძე (42 კგ), პაატა ნეფარიძე (87) და გია ხომასურიძემ (+97), მეორეზე — რამინ დარბაიძე (48), გულბათ ჩუბინიძე (52) და მამუკა იაკობიძე (87). მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა ლაშა გაფრინდაშვილს (60).

ᲑᲝᲠᲩᲐ ᲑᲘᲬᲐᲫᲔ,
ჭიათურის სპორტული სკოლის მწვრთნელი.

• • •

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲨᲘ გამართულ მსგავს საკავშირო ტურნირში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადისა და ვოროშილოვგრადის სპორტსმენებთან ერთად ასპარეზობდნენ ბათუმელი და ხობელი ნორჩი ფალავნები. უნდა ითქვას, რომ მათ სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ბათუმელთა გუნდში ექვსი მოჭიდავე იყო და მათგან ოთხმა საპრიზო ადგილები დაიკავა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გელა ჩხაიძის წარმატება 87 კგ წონით კატეგორიაში. მან ჯერ თავის წონაში ყველა მეტოქე დაამარცხა, შემდეგ კი მძიმე წონაშიც მოსინჯა ძალა. გელა ფინალში შეხვდა ხობელ რ. გაგუას და კვლავ გამარჯვება მოიპოვა. იქაურმა მაყურებლებმა ქართველ ფალავანს ორმაგი წარმატებისთვის, აგრეთვე ჰიდაობის საუკეთესო ტექნიკისათვის სპეციალური პრიზი გადასცეს. ჩინებულად იასპარეზეს სხვა ბათუმელმა მოჭიდავეებმაც: ლევან ზოიძე (69 კგ) მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო მამუკა მაკარაძე და გარიკ ხაჩატურიანი — მესამეზე.

ᲝᲗᲐᲠ ᲨᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔ.

თებერვალში თბილისში...

(დასასრული)



გატაცებული, საქართველოში ჯერჯერობით არ ვითარდება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კონგრესის ჩატარება ამ მიმართებით მძლავრი იმპულსი იქნება. გარდა ამისა, ჩატარდება კეტბურთის შეჯიბრებების მომსახურე სპორტულ ექიმთა თათბირი.

ეს საქმის ოფიციალური მხარე გახლავთ. მაგრამ მინდოდა ისეთ საკითხებზე მიმეპყრო თქვენი ყურადღება, რომლებიც, შეიძლება, არ იყოს შეტანილი პროგრამაში, მაგრამ მსჯელობა მათს შესახებ უთუოდ გაიმართება.

საქართველოში შეიქმნა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. კონფედერაციის წევრები შეხვდებიან სეოკ-ის აღმასკომს, გაეცნობიან ინფორმაციას საქართველოს ოლიმპიური ტრადიციების, ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონების შესახებ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ კეტბურთის კონფედერაციის წევრები, სპორტის ამ სახეობის განსაკუთრებული პოპულარობის წყალობით, როგორც წესი, ცნობილი, თავიანთ ქვეყნებში გავლენის მქონე ადამიანები არიან. სწორად, კეთილმოსურნედ განვაწყოთ ისინი ჩვენი ეროვნული ოლიმპიური მოძრაობის მიმართ, რათა შემდგომში ყველა ევროპულ ქვეყანაში ჩვენთვის სასურველი საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბდეს — აი, გულწრფელად რომ ვთქვათ, რა ამოცანის გადაწყვეტა გვინდა ამ კონგრესზე. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ ახლა დაჟინებით ვეძებთ საიმისო გზებს, რომ სხვადასხვა საერთაშორისო სპორტულ გაერთიანებებში საქართველომ თავისი წარმომადგენლები იყოლიოს. ამის უფლება ჩვენ, როგორც სუვერენულ რესპუბლიკას, კონსტიტუციითა გვაქვს უზრუნველყოფილი, მაგრამ სპორტში საჭიროა ჩვენი სიმართლის იურიდიულად დამტკიცება. იმედი მაქვს, ამის შესაძლებლობა აქ მოგვეცემა და მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ, დავუშვათ, საქართველოს კეტბურთის ფედერაციის სამოყვარულო კეტბურთის ევროპის კონფედერაციაში სრულუფლებიან წევრად შეყვანის საკითხი სავსებით რეალური გახდეს.

და კიდევ, ქველმოქმედება ნებისმიერი სოლიდური ორგანიზაციის მოღვაწეობის მნიშვნელოვანი, განუყოფელი მიმართულებაა და არც კონფედერაცია წარმოადგენს აქ გამონაკლისს. ჩვენ გვინდა, რომ მათი დახმარება, პირველ ყოვლისა, ბავშვებზე იყოს მიმართული. სამწუხაროდ, არცთუ ცოტა ბუნებისგან დაჩაგრული ბავშვი გვყავს. გვაქვს მოლაპარაკება იმის თაობაზე, რომ მზედველობადაქვეითებულ ბავშვთა ინტერნატში დაიდგას უახლესი სამედიცინო აღჭურვილობა, კითხვის სწავლებისათვის განკუთვნილი სპეციალური კომპიუტერები. შეიძლება მთელი ეს დახმარება უსასყიდლოდ აღმოგვიჩინონ.

საკითხთა ეს წრე, ვიმეორებ, არ შედის კონგრესის ოფიციალურ პროგრამაში, მაგრამ მაინც პირდაპირ კავშირშია მასთან. ამიტომაც ჩვენ ამ მოვლენას ძალზე მნიშვნელოვნად მივიჩნევთ. კონგრესის შესახებ არსებობს საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული სათანადო დადგენილება, ამ ფორუმის ორგანიზებისთვის აქტიურად მუშაობენ საქართველოს სპორტსაბჭომი და კეტბურთის რესპუბლიკური ფედერაცია. მინდა ასევე მადლობა გადავუხადო ყველა იმ ორგანიზაციას, რომლებიც კონგრესის მომზადებაში მონაწილეობენ და, განსაკუთრებით, ჩვენს სპონსორებს — „თბილხელსაწყოს“, თბილისის საკონდიტრო გაერთიანებას, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონსა“ და ფირმა „მელოდიას“.

„კონსერვატორიის“ პირველი შეკრება

23 იანვარს, 16 საათზე „ლელოს“ რედაქციას სტუმრების დიდმა ჯგუფმა მოაკითხა. თითოეული მათგანი ნიჩბოსნობის სპეციალისტი ან ამ სახეობით დაინტერესებული სპორტის მუშაკი გახლდათ. ისინი გამოეხმაურნენ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ განცხადებას, რომლითაც სადისკუსიო მაგიდასთან ვიწვევდით ჩვენი ნიჩბოსნობის დღევანდელ მდგომარეობაზე დაფიქრებულ სპეციალისტებსა და გულშემატკივრებს. ამგვარი შეხვედრის მიზეზი, იცოცხლეთ, გვქონდა და ამის შესახებ ვწერდით კიდეც განცხადებაში: სახეობა, რომელსაც ჩვენში სასახელო ტრადიციები აქვს, დღეისათვის, ფაქტობრივად, კრიზისულ მდგომარეობაშია. უკმაყოფილებას გამოთქვამს ყველა, ვისაც გული შესტკივა ნიჩბოსნობის ბედზე (უფრო სწორად, უბედობაზე), მაგრამ განცალკევებით წუხილი, მოგეხსენებათ, „ამირან გულში მღეროდა“-ს ჰგავს და წამხდარ საქმეს, საერთო ძალისხმევით რომ სჭირდება შველა, ვერაფერში გამოადგება. ამიტომ გადავწყვიტეთ დისკუსიის მოწყობა და, როგორც დავრწმუნდით, არც შევმცდარვართ: სტუმართა აზრით, მწვავე, კომპეტენტური, გულახდილი დისკუსია და დიალოგი ნამდვილად აუცილებელია, მაგრამ ითქვა ისიც, რომ ამგვარი შეხვედრა მხოლოდ „ნებაყოფლობითი პრინციპით“ არ უნდა ხდებოდეს — აუცილებელია „სანიჩბოსნო“ რეგიონებისა და ქალაქების პარტიული თუ სამეურნეო ხელმძღვანელების, ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების პასუხისმგებელ მუშაკთა მოწვევაც, რადგან უმეტესად მათი უგულისყურობის ბრალია ჩვენი ნიჩბოსნების გამუდმებული „უსახლკარობა“ და ხელმოკლეობა. მკაცრად უნდა მოეკითხოს ყველას, ვინც არ ასრულებს რესპუბლიკაში ნიჩბოსნობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიღებული ცნობილი დადგენილებით განსაზღვრულ დავალებებს. ცხადია, გამოითქვა კრიტიკული და თვითკრიტიკული შენიშვნებიც (დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოგვარდა ნიჩბოსნობის ფედერაციების შექმნის საკითხი, არ არსებობს მწვრთნელთა საბჭო და ა. შ.) და კონსტრუქციული მოსაზრებანიც. ამ უკანასკნელის თვალსაზრისით, ფრიად საყურადღებო იყო ფოთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ოთარ ხომერიკის წინადადება: სპორტსმენთა მზადების ერთიანი სისტემის შესაქმნელად და კრიზისიდან თავის დასაღწევად, მძლეოსანთა მსგავსად, სასურველი იქნება შეიქმნას ნიჩბოსნობის განვითარების საკოორდინაციო-მეთოდური ცენტრი. ერთი სიტყვით, მოიხაზა მომავალი შეხვედრის გეგმა და განისაზღვრა საკითხთა წრე, რომელთა საქმიანი, ჩამოყალიბებული და კონსტრუქციული განხილვა ჩამორჩენის დაძლევის საწინდარი უნდა გახდეს.

ფინალების მისადგომებთან

(დასასრული)

რნირს მფარველობენ „თბილმშენი“ (გენერალური დირექტორი გურამ ქევეხიშვილი) და № 3 სატაქსომოტორო გაერთიანება (დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ზარბეგ ბერიაშვილი, იგი გახლავთ ტურნირის მთავარი მსაჯიც). შეჯიბრებაზე საკმაოდ ხნიშვნელოვანი ფულადი პრემიები დააწესა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის სამმართველომ (უფროსი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გივი ყვარელაშვილი). გამარჯვებული 1000 მანეთს მიიღებს, პრიზიორები — შესაბამისად 500 და 300 მანეთს.



ახლა კი უშუალოდ შეჯიბრების მიმდინარეობას მივუბრუნდეთ:

48 კგ. წონით კატეგორიაში საქართველოს ერთი წარმომადგენელი, ელმან ნაღიევი გამოდიოდა და ისიც ბრძოლას გამოეთიშა.

52 კგ. აქ ვადამდე შეწყვიტეს ასპარეზობა მიხეილ ჯაფარიძემ, ნუგზარ ნასყიდაშვილმა. გუშინ დილას გამართული შერკინებების შემდეგ ორ-ორი მოგება და თითო წაგება ჰქონდათ ზურაბ ტატუაშვილსა და ნუგზარ საკიანს.

57 კგ. ეგია მუსოიანმა ორი შეხვედრა მოიგო, ერთი წააგო და მანაც გააგრძელა შეჯიბრება. ბრძოლა შეწყვიტა გიორგი ბერუაშვილმა. ბრძოლას განაგრძობენ გივი სისაური (ორი მოგება, ერთი წაგება) და დავით ბელთაძე.

62 კგ. შამილ მაგომედოვმა სამი შეხვედრიდან ორი მოიგო, ერთში — დამარცხდა და შეჯიბრებას აგრძელებს. სამწუხაროდ, ტურნირს ჩამოშორდა 18 წლის ზაზა ზოზიროვი, გორა მაკოევმა ორი შეხვედრა მოიგო, მესამეში კი ისვენებდა.

68 კგ. ზედიზედ სამი შერკინება მოიგო ახალგაზრდა გორელმა მოჰიდავემ გიორგი ხინჩიკაშვილმა. იგი ბოლო ორთაბრძოლაში თანაქალაქელ ხვიჩა საბაშვილს დაუპირისპირდა, რომელმაც შეხვედრაზე უარი განაცხადა და მაყურებელთა რიგებში გადაინაცვლა.

74 კგ. აქ თავი მოიყარა მეტად ძლიერმა შემადგენლობამ. შესანიშნავად ჩაატარა ორი შეხვედრა დეივ შულცმა. მაგალითად, მან ირანელი ბობაკ ასადი 49 წამში დაამარცხა. მაგრამ მესამე წრეში თვით შულციც ვერ გადაურჩა წაგებას, მას ნასირ გაჯიჰანოვმა (სსრკ) აჯობა. ორი წაგების შემდეგ ტურნირს გამოეთიშა მსოფლიოს ექსჩემპიონი ადლან ეარაევი, აგრეთვე პავლე ხურციძე და ნუგზარ პატურაშვილი. გიორგი ივანიშვილსა და ეროსი ელოშვილს ორ-ორი გამარჯვება და თითო წაგება ჰქონდათ მესამე წრის შემდეგ.



82 კგ. ობიექტურობას ბევრად არ ვუღალატებთ, თუ ვიტყვით, რომ ამ წონაში ყველაზე დაძაბული შეხვედრები მიმდინარეობს. ასპარეზობს რამდენიმე ფავორიტი. სამწუხაროდ, ავთანდილ გოგოლიშვილმა პირველი გამარჯვების შემდეგ წააგო საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთან იური ვორობიოვთან. ვორობიოვმა აგრეთვე დაამარცხა ძალიან ძლიერი ზანგი მოჰიდავე კევინ ჯექსონი (აშშ), რომელიც მანამდე წაუგებლად ასპარეზობდა. სამსამი წრე დაუმარცხებლად განვლეს დავით ხურციამ და ანზორ გოგრიჭიანმა. სამწუხაროდ, მეოთხე ეტაპზე მათი გზები გადაიკვეთა. შეუპოვარ და თანაბარ ბრძოლაში მსაჯებმა გოგრიჭიანი შეჯიბრებიდან მოხსნეს და გამარჯვება ხურციას მიაკუთვნეს. ავთანდილ გოგოლიშვილი მესამე შეხვედრაზე არ გამოცხადდა (ავად არისო, თქვეს) და ასპარეზობა შეწყვიტა.

შესანიშნავად ასპარეზობს გამოცდილი ვლადიმერ მოდოსიანი (გორი). მესამე წრეში მან 1,41 წუთში მოუგო აკაკი მგელაძეს. მგელაძე და ვასილ კასაშვილი შეჯიბრებას გამოეთიშნენ, კახა ჯაბიძე კი ბრძოლას განაგრძობს.

90 კგ. სამი წრე შეუფერხებლად განვლო მამუკა რაზმაძემ, მესამე წრეში მან აკაკი ჩხაიძე დაამარცხა, რომელსაც ორი წაგება დაუგროვდა. მისი ბედი გაიზიარა ვახტანგ სულთანიშვილმაც. ბიძინა ჟიჟიაშვილს კი ორი მოგება ჰქონდა.

100 კგ. ორ-ორი მოგება და თითო წაგება აქვთ გელა უბილავას, ზაზა ტყეშელაშვილსა და ვასო ბურდულს. დაუმარცხებლად ასპარეზობს სპორტის დამსახურებული ოსტატი ლერი ხაბელოვი, რამაზ ბუზარიაშვილმა კი შეწყვიტა გამოსვლა. ძალზე შეუპოვარი გამოდგა ტყეშელაშვილისა და ერთ-ერთი ფავორიტის, მოსკოველი სანასარ ოჰანესიანის შეხვედრა. თითქმის ოთხ წუთს ვერც ერთმა მოჰიდავემ ქულაც ვერ აიღო. შემდეგ კი მსაჯების მიერ მიცემული ორ-ორი გაფრთხილებით შეფიქრიანებულმა მეტოქეებმა სარისკო ბრძოლა გააჩაღეს, სადაც გამარჯვება უფრო გამოცდილ ოჰანესიანს დარჩა.

მძიმე წონაში ჯერჯერობით არავითარი პრობლემა არ აქვს დავით გობეჯიშვილს. მან მესამე წრეში გიორგი გალდავას მოუგო. სამი გამარჯვება აქვს ლევან ებანოიძეს, ორი — მერაბ ვალიევს, რომელმაც მალხაზ მაისაშვილი დაამარცხა. თურმანიძე მესამე წრეში სწორედ ებანოიძეს შეხვდა და პასიურობისთვის დამარცხება ჩაეთვალა.

გიორგი ჩოჩიშვილი.

გუშინ...

ხალამოს გაიმართა მეოთხე და მეხუთე წრის შეხვედრები. გაიმარჯვეს ტატუაშვილმა, მუხოიანმა, ბელთაძემ, თურმანიძემ, მაკოევმა, მაგომედოვმა. დამარცხდა ებანოიძე და ხააკიანი. ხაბელოვმა მოუგო უბილავას, გობეჯიშვილმა — ვალიევს. მეხუთე წრეში წააგეს ელოშვილმა, ხურციამ, გოგრიჭიანმა და მგელაძემ. მოდოსიანმა მოუგო ჯაბიძეს, რაზმაძემ — ჟიჟიაშვილს.



რამდენიმე ეპიზოდი „ტურნირის ცხოვრებიდან“.



ა. კოტორაშვილის ფოტოები.

„გრიგალა“, „ცისკარი“

ჯლის დასაწყისში (7 იანვარს) „ლელოში“ დაიბეჭდა საქართველოს ხელბურთის ფედერაციის თხოვნა-მიმართვა გაზეთის მკითხველებისადმი, შეარჩიონ თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდისთვის ახალი, მოხდენილი სახელი.

უკვე გამოჩნდა პირველი ბარათები. ასე, მაგალითად: თბილისელი სპორტის ოსტატი ძალოსნობაში გურამ მიმინოშვილი გვთავაზობს სიტყვა „ბურევესტნიკის“ ქართულად — „გრიგალა“, საჩხერელი მერაბ ბულაძე კი — „ცისკარს“.

ველით სხვა წინადადებებსაც, ძვირფასო მკითხველებო!

„პასუხისმგებლობა ძალზე დიდია“

ახალი სეზონის დასაწყისისთვის საბჭოთა ფეხბურთს ახალი მმართველი ორგანო ჰყავს — ფეხბურთის საკავშირო ფედერაცია. სწორედ იგი უხელმძღვანელებს საბჭოთა ფეხბურთს, მას მინიჭებული აქვს ყველა უფლება. ფედერაციის თავმჯდომარეა ვიაჩესლავ კოლოსკოვი. მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, თუ რას ფიქრობს ახალშექმნილი ფედერაციის ხელმძღვანელი განვლილ სეზონზე, როგორ აფასებს საბჭოთა ფეხბურთის დღევანდელობას და ხვალინდელ დღეს.

— თუ სსრ კავშირის ნაკრები წარმატებით იასპარეზებდა, უწინ სეზონიც დამაკმაყოფილებლად ფასდებოდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, გაგვახარა ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გასვლამ, გაგვახარეს ჭაბუკთა და ახალგაზრდულმა ნაკრებებმაც, მაგრამ ეს გადასაწყვეტ ამოცანათა მხოლოდ ერთი ნაწილია. მეორე ამოცანა ევროპის საკლუბო ტურნირებში მონაწილეობა იყო, აქ კი შედეგები მეტად არადამაკმაყოფილებელია. სამწუხაროდ, ეს ერთგვარ ტრადიციადაც კი იქცა ბოლო დროს. ჩემი აზრით ამის მიზეზები შემდეგში მდგომარეობს:

მიმდინარეობს საფუძვლიანი გარდაქმნა საფეხბურთო მეურნეობაში, იქმნება კლუბები სამეურნეო ანგარიშზე. ამას უამრავი პრობლემა სდევს თან: მწვრთნელები ცდებიან ძირითად სამუშაოს, სპორტსმენებიც წმინდა სათამაშო საქმეებს გარდა იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ მიიღონ მატერიალური ეფექტი თავიანთი პროფესიული საქმიანობისგან. სწორედ საორგანიზაციო საქმიანობითაც აიხსნება ეს ერთგვარი დაღმასვლა.

დარწმუნებული ვარ, რომ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, მაგრამ უფრო მაღელვებს სხვა რამ. ზოგიერთ გუნდებში პირწმინდად ავიწყდებათ ის, რაც ყოველთვის განსაზღვრავდა გუნდის ოსტატობის დონეს: საწვრთნელი პროცესის, აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ პროფესიულ დონეზე წარმართვა. თუ ადრე დღის წესრიგში ძირითადად მეცადინეობის ინტენსიობისა და მოცულობის საკითხები იდგა, ახლა მხოლოდ ხელფასებსა და სამართლებრივ დაუცველობაზეა საუბარი. პარადოქსალურ სიტუაციაში აღმოვჩნდით — სამთავრობო გადაწყვეტილებით ფეხბურთის სამმართველოს ევალება სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გაკონტროლება, კლუბის ხელმძღვანელობა კი, დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, ახლოსაც არ გვაკარებს გუნდებს.

ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ადმინისტრაციული ზედამხედველობის ანდიქტატის მომხრე ვიყო, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება, ძალზე დამაფიქრებელი ტენდენციაა. ვფიქრობ, ამანაც იქონია გავლენა სეზონის შედეგებზე.

არის კიდევ ერთი მტკივნეული საკითხი. ბევრმა კლუბმა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შემდეგ უარი განაცხადა თავის რეზერვებზე. მოხდა გათიშვა ოსტატთა გუნდებსა და ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლებს შორის. მწვრთნელები ცდილობენ შეიძინონ უკვე კვალიფიციური მზა ფეხბურთელები. ამ შემთხვევაში დგება მეორე პრობლემა: სად „იყიდიან“ ისინი ფეხბურთელებს, რადგანაც საკითხისადმი ამგვარი მიდგომის პირობებში რეზერვი უახლოეს ხანშივე ამოიწურება.

გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ „დნეპრი“, სადაც დუბლშემადგენლობის გარდა ნიჭიერი ბავშვებისგან შექმნილ ექსპერიმენტული ჯგუფი. ასე ხდება, საერთოდ, უცხოურ კლუბებშიც, მაგალითად „ბარსელონაში“.

შეინიშნება კიდევ ერთი ტენდენცია: კლუბები მოსამზადებელი პერიოდის უდიდეს ნაწილსა და სეზონის პაუზებს საზღვარგარეთ ატარებენ. ადრე ფედერაცია არეგულირებდა ამ საკითხს, ცდილობდა გუნდებს მეტი ევარჯიშათ შინ, ახლა კი ყველას „გაქცევაზე“ უჭირავს თვალი იმ მოტივით, რომ იქ უკეთესი მინდვრებია. მაგრამ, მოდით, თვალი გავუსწოროთ სინამდვილეს — ძირითადი დრო ხომ ერთი ადგილიდან მეორეზე მგზავრობას, ნაკლებად ეფექტურ და უმნიშვნელო მინიფეხბურთის ტურნირებში მონაწილეობას მიაქვს, ამასობაში კი იკარგება ის ძვირფასი დრო, რომელიც ესოდენ საჭიროა ტაქტიკური და ტექნიკური ოსტატობის ამაღლებისთვის. შექმნილი მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მალე საფეხბურთო მინდვრებზე ვეღარ ვიხილავთ ახალგაზრდა ნიჭიერ სპორტსმენებს.

ყველაფერი ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ უნდა გვიკვირდეს, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა ევროპულ კლასიფიკაციაში ვერც ერთი ადგილი ვერ მიიღეს უძლიერესთა ათეულში. არადა, წინ ძალზე დაძაბული სეზონი გველის.

უპირველეს ყოვლისა, ეს არის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი იტალიაში, სადაც უძლიერესი გუნდები შეიკრიბებიან. თუ ჩვენი ნაკრები იმ დროისთვის შეძლებს სპორტული ფორმის პიკის მიღწევას, თუ განაახლებს თავის ტაქტიკურ არსენალს, ალბათ კარგ შედეგსაც მიაღწევს.

ერთ-ერთ საუბარში ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ განაცხადა, რომ ქვეყნის პირველმა გუნდმა თავისი საქმე გააკეთა და ახლა საჭიროა შემადგენლობის ძირეულად გარდაქმნა. დარწმუნებული ვარ, იტალიაში გაემგზავრებიან ისინი, ვინც ამის უფლება მოიპოვა, ახლა ნაკრებში ყველაზე საუკეთესო ფეხბურთელები არიან თავმოყრილი.

რა თქმა უნდა, წლის მთავარი მოვლენის ჩრდილში არ დარჩება არც ახალი ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი თამაშები, არც ევროპის შემდგომი ჩემპიონატის სტარტი, არც ევროპული საკლუბო ტურნირები.

რაც შეეხება ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის საქმიანობას 1990 წელს, გეტყვით, რომ ახლა ამ საზოგადოებრივ-სახელმწიფო პროფესიულ, რჩეულ ორგანოს გადაეცა ყოველგვარი უფლებამოსილება, ფედერაცია განახორციელებს ერთიან ხელმძღვანელობას და, რა თქმა უნდა, სრულად აგებს პასუხს თავის საქმიანობაზე. პასუხისმგებლობა ძალზე დიდია.

რ. ჩელებაძის პრიზზე

ფეხბურთის მოყვარულებს ამ რამდენიმე ხნის წინ კარგი საჩუქარი მოუმზადა „დინამოს“ რესპუბლიკურმა საბჭომ, რომლის თაოსნობით თბილისის სპორტის სასახლეში მიეწყო მ. მესხის სახელობის ტურნირი მინიფეხბურთში. მსგავსი ტურნირების ორგანიზებას ჩვენი ყველა ქალაქი და რაიონი შეძლებს, მათ მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლიათ.

ბათუმში ამ დღეებში გაიმართა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის რ. ჩელებაძის პრიზის გათამაშება მინიფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს საფეხბურთო სკოლების 1978 წელს დაბადებული ჭაბუკები, სულ 16 გუნდი.

მონაწილეები ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ, ისინი წრიული სისტემით არკვევდნენ ერთმანეთში ურთიერთობას. ნახევარფინალში თამაშის უფლება თბილისის 35-ე სკოლის ოთხივე გუნდმა მოიპოვა. „მართვე“-1-მა სძლია „მართვე“-2-ს 2:1, ხოლო „მამულმა“ — „ლილეს“ — 6:1. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „მართვემ“ (2), რომელიც დაკომპლექტებულია 35-ე საფეხბურთო სკოლისა და რადიოქარხანა „ორიონის“ ბაზაზე, დამატებით დროში დაამარცხა „ლილე“ — 3:2 და საპრიზო ადგილზე გავიდა.

საინტერესოდ წარიმართა ფინალური მატჩი, რომლის არბიტრობა თვით რ. ჩელებაძემ ითავა. თამაშის ძირითადი და დამატებითი დროფრედ დამთავრდა — 4:4. დამატებითი პენალტების სერია უფრო ზუსტად „მართვე“-1-მა შეასრულა და საპატიო თასსაც დაეუფლა (გამარჯვებული გუნდი შექმნილია 35-ე სკოლის და ელმავალმშენებელი ქარხნის სპორტკლუბ „მეგობრობის“ ბაზაზე (მწვრთნელი — გ. მაისურაძე).

საუკეთესო მოთამაშეებისთვის დაწესებული იყო პრიზები. საუკეთესო ფეხბურთელად ჟიურომ ვიტალი დარასელია მიიჩნია, ყველაზე ტექნიკური მოთამაშისა და ბომბარდირის პრიზი გადაეცა ლევან ბაჯელიძეს, საუკეთესო მეკარედ ზაზა ჩაჩუა დაასახელეს.

„მართვე“-1-ის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ის ფეხბურთელები, რომლებმაც შარშან უნგრეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში პირველობა მოიპოვეს.

„ლელოს“ კორ.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: რ. ჩელებაძის პრიზის მფლობელი თბილისის „მართვე“-1.

ასოციაცია, გაზეთი, სპონსორები...

ხარკოვში დაიწყო საერთაშორისო ტურნირი ქალთა მინი-ფეხბურთში. გაზეთ „სოვეტსკაია ტორგოვლიას“ პრიზზე, რომელშიც უცხოელნი გუნდებთან ერთად იასპარეზობენ ალმაათელი, ვილნიუსელი, კაუნასელი, კრასნოიარსკელი, მინსკელი, რამენსკელი, რიგელი, სარანსკელი, ფრუნზელი და ხარკოველი ფეხბურთელი ქალები.

გაზეთის რედაქციის გარდა ტურნირის ორგანიზატორ-დამაარსებლები გახდნენ სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის პროფკავშირთა ცენტრალური კომიტეტი, ქალთა ფეხბურთის საკავშირო ასოციაცია. ტურნირის სპონსორები არიან ხარკოვის ქალთა პროფესიული კლუბი „დებიუტი“, ხარკოვის საპარფიუმერიო-კოსმეტიკური ფაბრიკა „ეფექტი“, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის სპორტკლუბი, ხარკოვის საოლქო აღმასკომისა და საოლქო სამომხმარებლო კავშირის ვაჭრობის სამმართველო.

ქალთა ფეხბურთს საბჭოთა კავშირში უკვე რამდენიმე წლის ისტორია აქვს. სამი წლის წინ გაიმართა პირველი საკავშირო ჩემპიონატი, ამჟამად საფეხბურთო კლუბები არსებობენ 11 რესპუბლიკის 70 ქალაქში და აი, ამ ცოტა ხნის წინ, შეიქმნა ქალთა ფეხბურთის საკავშირო ასოციაცია, ზოგიერთ ფეხბურთელს კი უკვე მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატის ოფიციალური წოდება.

ხარკოვის ტურნირით იხსნება წლევანდელი სეზონის კალენდარი, რომელშიც დაგეგმილია მრავალი შეჯიბრება. აპრილში ლენინგრადში გაიმართება სსრ კავშირის ნაკრებისა და ფინეთის ეროვნული გუნდის მატჩი; მარტში ვროდნოსა და კაუნასში იასპარეზებენ პოლონეთის მოზრდილთა და ახალგაზრდული ნაკრებები; აგვისტოში სსრ კავშირის ნაკრები გაემგზავრება საფრანგეთში, ხოლო სექტემბერში — იტალიაში. საბჭოთა საკლუბო გუნდები ითამაშებენ ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, პოლონეთსა და კანადაში გამართულ საერთაშორისო ტურნირებში. გარდა ამისა, უეფა-ს გაეგზავნა განაცხადი სსრ კავშირის ნაკრების ევროპის ქალთა ჩემპიონატში მონაწილეობის თაობაზე.

რაც შეეხება საკავშირო კალენდარს, წელს ჩატარდება სსრ კავშირის პირველი ოფიციალური ჩემპიონატი, რომელშიც 24 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, ამდენივე კლუბი იასპარეზებს პირველ ლიგაში, გაცილებით მეტი — მეორეში.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

მეთხუთმეტე დამარცხება

კაუნასი. კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ადგილობრივი „ჟალგირისი“ კვლავ დამარცხდა შინ. ამჯერად მას აჯობა მოსკოვის „დინამომ“, თანაც საკმაოდ სოლიდური სხვაობით ანგარიშში — 96:75 (48:47). ლიტველმა კალათბურთელებმა უკვე მეთხუთმეტე შეხვედრა წააგეს.

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში • I ლიგა

თითო გამარჯვება და...

პირველი წრის ბოლო შეხვედრის შემდეგ თბილისის კალათბურთელ ქალთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გარი არუთინოვმა თითქოს იწინასწარმეტყველა „...ჩვენთვის მთავარია, ტრავმებმა არ შეგვიშალოს ხელი“. მოგეხსენებათ, ტრავმის მიღება ადვილია, აი, მორჩენა კი ჭირს ხოლმე.

კაუნასის „ბანგასთან“ მატჩი გათამაშების ერთ-ერთი ცენტრალური ბრძოლა გახლდათ. შეხვედრის დაწყებამდე ცხადი გახდა, რომ ჩვენს გუნდს მძიმე ბრძოლა მოელოდა. ტრავმირებული თამაშობდა ნ. ლორია, ვერც ნ. კურტანიძე და ვ. კოზლოვა იყვნენ კარგად, ნ. სირაძე კი პირველად გამოვიდა მოედანზე შესვენების შემდეგ.

შეხვედრა ქართველ კალათბურთელთა შეტევით დაიწყო, მაგრამ მეოთხე წუთისათვის ლიტველები შვიდი ქულით დაწინაურდნენ — 9:2. და მაინც, პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და დამთავრდა „ბანგას“ გამარჯვებით — 38:37.

შესვენების შემდეგ მაყურებელი მძიმე ბრძოლას მოელოდა, მაგრამ... თბილისელები ხშირად ცდებოდნენ, უზუსტოდ ესროდნენ კალათში. ამასთან თავი იჩინა დაღლილობამ და საბოლოოდ გუნდი დამარცხდა — 66:89.

განმეორებითი შეხვედრა ისევ ჩვენი გუნდის შეტევებით დაიწყო, პირველი წუთნახევარი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მეორე წუთზე ლ. ტოვსტიკომ ზუსტი სამქულიანი ტყორცნა განახორციელა და ამ წუთიდან დადგა გარდატეხის მომენტი. მერვე წუთზე ჩვენი გუნდი წინ იყო 12 ქულით — 20:8. ამის შემდეგ თბილისელებმა ცოტაოდენ მოადუნეს ყურადღება, სტუმრები გააქტიურდნენ და ანგარიშში სხვაობაც შემცირდა, მაგრამ მეტის გაკეთება მეტოქეებმა ვერ შეძლეს. ტაიმი თბილისელებმა მოიგეს — 49:34.

სურათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა. ანგარიშში სხვაობა თანდათანობით იზრდებოდა თბილისელთა სასარგებლოდ და უკვე 35-ე წუთისთვის მან 21 ქულას მიაღწია. ტრავმებს ვერც ამ დღეს გადაურჩნენ ჩვენი მოთამაშეები. მე-13 წუთზე მოედანი დატოვა ვერა კოზლოვამ. თამაშის დამთავრებამდე კი ხუთი პერსონალური შენიშვნით გამოეთიშნენ ბრძოლას ნ. კურტანიძე და თ. ბუიღლიშვილი. თბილისის კალათბურთელებმა მაინც გაიმარჯვეს ანგარიშით — 79:64. ძნელია გამარჯვებულთაგან ვინმეს გამოყოფა, ვინაიდან ყველამ მონდომებით ითამაშა ამ დღეს. და მაინც უნდა გამოვყოთ მ. მხეიძე, რომელმაც თავის გუნდს 34 ქულა შესძინა.

თებერვლის 8 რიცხვამდე თბილისელები შინ იქნებიან, შემდეგ კი მძიმე თამაშები ელით, ჯერ ფრუნზეში და სვერდლოვსკში. მერე კი პენზასა და გორკში.

ბია ბურდული.

საერთაშორისო ფეხბურთი: ევროპიელები, ცსარილები

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების შორიგი მატჩები.

იტალია

21-ე ტური. „ასკოლი“ — „იუვენტუსი“ 1:2, „ჩეზენა“ — „ლეჩე“ 4:0, „ლაციო“ — „ფიორენტინა“ 1:1, „ნაპოლი“ — „ვერონა“ 2:0, „ატალანტა“ — „რომა“ 3:0, „უდინეზე“ — „მილანი“ 0:2, „ჯენოვა“ — „კრემონეზე“ 1:0, „ბარი“ — „ბოლონია“ 0:0, „ინტერი“ — „სამპდორია“ 2:0.

„ნაპოლი“	21	32-17	32
„ინტერი“	21	34-19	30
„მილანი“	20	34-16	29

ინგლისი

23-ე ტური. „ასტონ ვილა“ — „საუთჰემპტონი“ 2:1, „ჩელსი“ — „ჩარლტონი“ 3:1, „არსენალი“ — „ტოტენჰემი“ 1:0, „ევერტონი“ — „შეფილდი“ 2:0, „ლუთონი“ — „ქუინს პარკი“ 1:1, „მანჩესტერ სიტი“ — „ქოვენთრი“ 1:0, „მილუოლი“ — „უიმბლდონი“ 0:0, „კრისტალ პალასი“ — „ლივერპული“ 0:2, „დერბი“ — „ნოტინგემი“ 0:2, „ნორვიჩი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 2:0.

„ლივერპული“	24	48-25	46
„ასტონ ვილა“	23	40-21	46
„არსენალი“	23	38-24	42

საბერძნეთი

მე-17 ტური. „პაოკი“ — „პანათინაიკოსი“ 2:1, „კალამარია“ — „აეკი“ 0:0, „ოფი“ — „ოლიმპიაკოსი“ 0:0, „ლარისა“ — „ვოლოსი“ 2:0, „დრამა“ — „პანიონისი“ 0:0, „ლევადია“ — „აპოლონი“ 1:0, „ეთნიკოსი“ — „ქსანტი“ 1:0, „სერესი“ — „არისი“ 0:0.

„პაოკი“	17	30
„აეკი“	17	29
„ოლიმპიაკოსი“	17	29

ბელგია

მე-18 ტური. „გენტი“ — „მეჰელენი“ 0:0, „ანტვერპენი“ — „ლოკერენი“ 5:0, „ვარეგემი“ — „ანდერლეჰტი“ 0:5, „ლიეჟი“ — „სერკლი“ 0:0, „ბევერენი“ — „სენტ ტრუდენი“ 0:0, „ლიერსი“ — „ბეერსკოტი“ 3:2, „ბრიუგე“ — „სტენდარდი“ 2:1, „ეკერენი“ — „კურტრე“ 2:0, „რესინგი“ — „შარლეროუ“ 1:1.

„ანდერლეჰტი“	18	39-7	28
„ბრიუგე“	18	34-16	28
„მეჰელენი“	18	29-5	28

ჰოლანდია

მე-19 ტური. „როდა“ — „ტვენტე“ 2:0, „დენ ბოში“ — „ეინდჰოვენი“ 1:1, „გრონინგენი“ — „ვალეიკი“ 1:2, „სიტარდი“ — „არნჰემი“ 0:0, „ფეიენოორდი“ — „უტრეჰტი“ 0:0, „ჰარლემი“ — „ვოლენდამი“ 2:1, „ტილბურგი“ — „მაასტრიჰტი“ 1:1, „ნიიმეგენი“ — „სპარტა“ 1:2.

„ეინდჰოვენი“	18	57-21	26
„როდა“	19	30-20	25
„აიაქსი“	18	36-15	24

(სპტ. ინფ.)

საფლეგარგარეთის ახალი ამბები

მცველებსაც მიაქციეთ ყურადღება

კალათბურთის ამერიკელ გულშემატკივრებს რომ ჰკითხოთ, ვინ არის ნბა-ს პროფესიული ლიგის საუკეთესო მოთამაშეო, დარწმუნებული ვართ ერთსადაიმავე გვარებს დაგისახელებენ — მაიკლ ჯორდანს, ირვინ (მეჯიკ) ჯონსონს ან ლარი ბიორდს. ისინი, ყველანი, თავიანთი კლუბის ლიდერები და პროფესიული კალათბურთის სუპერვარსკვლავები არიან, გამოირჩევიან სნაიპერული სროლებით და ლომის წილი შეაქვთ საკუთარი კლუბების წარმატებაში.

მცველები კი, რომლებსაც ასევე დიდი როლი (ზოგჯერ თავდამსხმელებზე მეტიც) აქვთ განკუთვნილი ამა თუ იმ გუნდის გამარჯვებაში, რატომღაც ჩრდილში ექცევიან. არა და ზოგიერთი კლუბის წარმატება პროფესიულ კალათბურთში მთლიანად მცველთა მაღალ ოსტატობაზეა დაფუძნებული. ამის კლასიკურ მაგალითს გვაძლევს ნბა-ს შარშანდელი ჩემპიონის „დეტროიტ პისტონსის“ თამაში.

როდესაც, „დეტროიტმა“ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ბევრი გულშემატკივარი და სპეციალისტი გაოგნებული იყო — როგორ მოახერხა გამარჯვება ასეთ ავტორიტეტულ ტურნირში გუნდმა, რომელსაც არც ერთი მაღალი კლასის (რა თქმა უნდა შედარებით) თავდამსხმელი არ ჰყავს? როგორ გაუსწორო მან საბოლოოდ მეჯიკის, ჯორდანის, ბიორდისა და სხვა ვარსკვლავთა გუნდებს?

პასუხი ამ შეკითხვაზე მარტივია. „დეტროიტში“ ბრწყინვალედ თამაშობენ მცველები დენის როდმენი, ჯო დუმარსი და ჯონ სალი. ისინი ახერხებენ მეჯიკისა და ჯორდანის ნეიტრალიზებას და ვხმარებიან თანაკლუბელებს წარმატების მიღწევაში.

ზემოთდასახელებული კალათბურთელები „პისტონსიდან“ თანამედროვე დაცვის კლასიკურ შედევრებს ქმნიან. დუმარსი, მაგალითად. არც ისე მაღალია, მაგრამ საოცრად სწრაფია და წარმოუდგენელ რეაქციას ფლობს. როდმენიც საკმაოდ სწრაფია, მაგრამ მას დუმარსთან შედარებით, ერთი უპირატესობა აქვს — უფრო მაღალია და ხშირად ახერხებს მეტოქის სროლების ბლოკირებას. სალი კი საკალათბურთო გიგანტთა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. მას ისე, სხვათა შორის, შეუძლია საჯარიმო მოედნიდან მეტოქის მთელი ხუთეულის „გაყრა“.

დაცვის მნიშვნელობა „დეტროიტის“ გარდა სხვა კლუბებსაც კარგად ესმით. მაგრამ გააჩნია ვინ როგორ იცავს თავს. „იუტა ჯაზის“ კლუბის დაცვის მთავარი ბურჯია მარკ იტონი (2 მეტრი და 23 სანტიმეტრი). ნბა-ს ლიგაში იგი ყველაზე „შიშისმგვრელ“ მცველად ითვლება. თავისი სიმაღლის წყალობით, შარშანდელ ჩემპიონატში მან 315 ტყორცნის ბლოკირება მოახერხა. მიდი და გვერდი აუქციე ასეთ მცველს.

ბრწყინვალე მცველად ითვლება „ნიუ-იორკ ნიკსის“ მოთამაშე პატრიკ ივინგიც (სიმაღლე 213 სმ), რომელიც შარშან ლიგის საუკეთესო მცველად აღიარეს. იგი იტონივით ძლიერი არ არის „ბლოკირებაში“, სამაგიეროდ პასის განსაცვიფრებელი ალღო აქვს, რაც არანაკლებად ფასობს პროფესიულ კალათბურთში.

ამერიკელ სპეციალისტთა აზრით, კარგი მცველი უსათუოდ მაღალი ტანის კალათბურთელი არ უნდა იყოს. აქ უფრო მნიშვნელოვანია ფიზიკური მომზადება, თავგანწირვა და სწრაფი, ფაქტიურად თვალშეუვლები რეაქცია.



ბომბარდირების სათავეშია უეინ გრეცკი

მონრეალის ყოველდღიურმა სპორტულმა გაზეთმა გამოქვეყნა სტატისტიკური მონაცემები საბჭოთა ჰოკეისტების შესახებ. მათ შორის ყველაზე სტაბილურად გამოდის „კალგარი ფლეიმზში“ მოთამაშე სერგეი მაკაროვი, რომელმაც ჩემპიონატში ჩატარებულ 43 მატჩში დააგროვა 48 ქულა (10 გატანილი შაიბა და 38 შედეგიანი გადაცემა). მომდევნო ადგილებზე არიან: ლარიონოვი („ვანკუვერი“) — 31 (12-19), მოგილნი („ბუფალო“) — 25 (9-16), ფეტისოვი („ნიუ ჯერსი“) — 13 (2-11), ბალდერისი („მინესოტა“) — 6 (3-3).

ეროვნულ ჩემპიონატში ბომბარდირთა სიას სათავეში უდგას სახელგანთქმული უეინ გრეცკი („ლოს-ანჟელესი“) — 88 ქულით (22-66), მეორე ადგილზეა, ასევე საკმაოდ ცნობილი, მარიო ლემიე („პიტსბურგი“) — 82 (27-55) ქულა.

გაგაცნობთ პროფესიონალთა ეროვნული ჩემპიონატის ბოლო რამდენიმე ტურის შედეგებს: „მინესოტა“ — „დეტროიტი“ 4:3, „ბუფალო“ — „ბოსტონი“ 1:2, „მონრეალი“ — „ვანკუვერი“ 5:3, „ედმონტონი“ — „კალგარი“ 1:3, „რეინჯერსი“ — „პიტსბურგი“ 5:7, „ნიუ ჯერსი“ — „ვინიპეგი“ 3:4, „ტორონტო“ — „ვაშინგტონი“ 8:6, „კვებეკი“ — „მონრეალი“ 5:2, „დეტროიტი“ — „მინესოტა“ 9:0, „ლოს ანჟელესი“ — „სტ. ლუისი“ 3:4. „კალგარი“ — „ედმონტონი“ 2:3, „ვანკუვერი“ — „ჰარტფორდი“ 1:3, „ტორონტო“ — „აილენდერსი“ 1:3, „რეინჯერსი“ — „ჩიკაგო“ 2:2. „ნიუ ჯერსი“ — „პიტსბურგი“ 6:3, „ვინიპეგი“ — „ვაშინგტონი“ 6:1, „ბოსტონი“ — „კვებეკი“ 3:1, „კალგარი“ — „ბუფალო“ 5:3, „მინესოტა“ — „აილენდერსი“ 4:8, „ფილადელფია“ — „ჩიკაგო“ 4:5, „ლოს ანჟელესი“ — „მინესოტა“ 3:3, „ნიუ ჯერსი“ — „მონრეალი“ 2:5, „ვაშინგტონი“ — „პიტსბურგი“ 4:6, „ვინიპეგი“ — „დეტროიტი“ 7:5, „ვანკუვერი“ — „სტ. ლუისი“ 2:5, „ბოსტონი“ — „რეინჯერსი“ 2:3, „ლოს ანჟელესი“ — „ჰარტფორდი“ 3:6, „ვანკუვერი“ — „ბუფალო“ 3:5, „მონრეალი“ — „ფილადელფია“ 2:2, „კვებეკი“ — „ნიუ ჯერსი“ 4:5, „აილენდერსი“ — „ვაშინგტონი 4:2, „ტორონტო“ — „კალგარი“ 6:5, „მინესოტა“ — „დეტროიტი“ 6:4.

დივიზიონების მიხედვით გუნდების სატურნირო მდგომარეობა შემდეგნაირად გამოიყურება:

პატრიკი

„ნიუ ჯერსი“	46	46
„აილენდერსი“	45	44
„ფილადელფია“	46	43
„რეინჯერსი“	47	42
„პიტსბურგი“	44	41
„ვაშინგტონი“	46	40

ადამსი

„ბოსტონი“	45	55
„ბუფალო“	45	54
„მონრეალი“	47	52
„ჰარტფორდი“	44	45
„კვებეკი“	44	22

ნორისი

„ჩიკაგო“	44	54
„ტორონტო“	46	47
„მინესოტა“	46	45
„სტ. ლუისი“	44	44
„დეტროიტი“	44	44

სმითი

„ედმონტონი“	46	55
„კალგარი“	46	51
„ვინიპეგი“	43	47
„ლოს ანჟელესი“	45	45
„ვანკუვერი“	45	34

(სპკ. ინფ.)

წარმატებათა პარამეტრები

მონლოლეთს საკმაოდ მაღალი კლასის ფალავნები ჰყავს (განსაკუთრებით თავისუფალ ჭიდაობაში), მაგრამ მათ შორისაც გამორჩეულად შეიძლება მივიჩნიოთ 74 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეები. ადგილობრივმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ამ ათლეტებს ბევრი რამ აქვთ საერთო და ამან გარკვეულწილად კანონზომიერების სახე მიიღო (ლაპარაკია იმ მონღოლ მოჭიდავეებზე, რომლებმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს კონტინენტისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, ოლიმპიურ ტურნირებზე).

როგორც შემოწმებით გამოირკვა, მათი იდეალური წონაა 73,1 კგ, სიმაღლე — 173,4 სმ. ხელების გაშლის სიგრძე 178 სმ. მათ კიდევ ბევრი სხვა რამ აერთიანებთ: ეროვნულ ჭიდაობაში მეცადინეობა დაწყებული აქვთ 12-15 წლის ასაკში, თავისუფალ ჭიდაობაში 17 წლის ასაკში გადაინაცვლეს, ნაკრებში ჩარიცხული არიან 20-22 წლისანი. ყველაზე დიდ წარმატებას აღწევენ 24-25 წლის ასაკში და საუკეთესო ფორმას 5-6 წლის მანძილზე ინარჩუნებენ.

მინისტრი სუპერმენი

უმრავლესობამ ეს დანიშვნა მიიღო როგორც სენსაცია. აშშ-ს პრეზიდენტის საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ცნობილი კულტურისტი, სუპერმენი და კინოვარსკვლავი არნოლდ შვარცენეგერი — თითქოს დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ასე არ ფიქრობდა, როცა ამ კანდიდატურას ამტკიცებდა.

ბუში სპორტის დიდი მოყვარული გახლავთ. იგი დარბის, ცურავს, თამაშობს ჩოგბურთს, უყვარს ცხენის ჭენება, მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, არამედ ის, რომ პრეზიდენტს სურს მასობრივ ფიზკულტურულ მოძრაობაში მთელი ამერიკელი ხალხი ჩაბას. ამისთვის კი მას მაგალითი სჭირდებოდა, კერპი, რომელსაც ახალგაზრდობა და ხალხი გაყვება. ამ მხრივ არნოლდ შვარცენეგერზე უკეთეს კანდიდატს ამერიკაში, ალბათ, ვერც მოსძებნიდნენ.

ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი მოყვარულთა შორის, კულტურისტებში ყველაზე პოპულარული ტიტულის „მისტერ ოლიმპიას“ შვიდგზის მფლობელი, მრავალი ამერიკული ფილმის გმირი — სუპერმენი მართლაც პოპულარული პიროვნებაა აშშ-ში.

არნოლდ შვარცენეგერის ვარსკვლავი 1970 წელს ამობრწყინდა. წარმოშობით იგი ავსტრიელი გახლავთ. მისი სპორტული კარიერა ამ ქვეყანაში დაიწყო. შემდეგ იგი ამერიკაში მიიწვია ჯო ვეიდერმა, რომელიც ევროპაში მოგზაურობდა და თავისი კულტურისტთა კლინიკის ფილიალების მუშაობას ეცნობოდა, აწყობდა კულტურისტთა საჩვენებელ გამოსვლებს და პერსპექტიულ სპორტსმენებს ეძებდა. მან თვალი დაადგა „სწორუპოვარ არნოლდს“ და იტალიელ ფრანკო კოლომბასთან ერთად შტატებში წაიყვანა (1981 წელს, როცა შვარცენეგერი სარბიელს ჩამოსცილდა, „მისტერ ოლიმპიას“ ტიტული სწორედ კოლომბამ მოიპოვა).

შვარცენეგერს ხშირად იწვევდნენ კინოშიც ძლიერი, ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირების როლზე. ახლა მას გაცილებით უფრო საპასუხისმგებლო როლი დაეკისრა — იგი ამერიკის სპორტის თავკაცი გახდა.

• • •

სურათზე: არნოლდ შვარცენეგერი.

კალეიდოსკოპი

ინფორმაციის „ტექნიკურ“ შეცდომას“ უშვებს

ოტავა. გადადგა კანადის სახელმწიფო მინისტრი ფიზკულტურისა და სპორტის დარგში ჟან შარე. მას ბრალად დაედო, „სატელეფონო უფლების“ გამოყენებით ზემოქმედება მოსამართლის გადაწყვეტილებაზე.

როგორც ცნობილი გახდა, შაბათს ირჩეოდა მძლეოსნური ასოციაციის ერთ-ერთი მწვრთნელის საჩივარი იმის თაობაზე, რომ იგი უკანონოდ გარიცხეს გუნდიდან, რომელიც ახალ ზელანდიაში საასპარეზოდ მიემგზავრებოდა. მოსამართლემ განაცხადა, რომ ახალ ზელანდიაში მყოფი მინისტრი აპირებდა მასთან ტელეფონით დაკავშირებას, მაგრამ მან არ აიღო ყურმილი.

პარლამენტის სხდომაზე კანადის პრემიერ-მინისტრმა ბრაიან მალრუნიმ სინანული გამოთქვა 31 წლის მინისტრის გადადგომასთან დაკავშირებით. ამასთან აღნიშნა, რომ არსებული კანონის თანახმად, არც ერთ მინისტრს კანადაში (იუსტიციის მინისტრის გარდა), არა აქვს მოსამართლესთან ურთიერთობის უფლება. მალრუნის აზრით, ეს „დიდებული ტრადიცია“ ყველამ მკაცრად უნდა დაიცვას.

პრესა აღნიშნავს, რომ ჟან შარემ, ამ შემთხვევაში, მხოლოდ „ტექნიკური შეცდომა“ დაუშვა და ამის გამო დაისაჯა, თორემ მალრუნის მთავრობის ათი მინისტრი უფრო დიდი დანაშაულის გამო დაითხოვეს პოსტებიდან. მათ ბრალად ედებოდათ სხვადასხვა უკანონო ფინანსურ ოპერაციაში მონაწილეობა.

ბოლო მსხვერპლი

გასული სპორტული სეზონის ბოლო უბედურება დატრიალდა 28 დეკემბერს ჰიმალაის მთიანეთში. როგორც ნეპალის ტურიზმის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, პუმორის მთის ქმიდან (2000 მ. სიმაღლე) ხევში გადაიჩეხა 35 წლის ავსტრალიელი ჯორჯ ჭენრი კარი, რომელსაც სხვა შვიდ მთამსვლელთან ერთად 7161 მეტრის სიმაღლეზე მდებარე ერთი უსახელო მწვერვალი უნდა დაელაშქრა.

კარი იყო იმ ამერიკული ექსპედიციის წევრი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ კარლ ჰარისონი და ერთი ადგილობრივი გიდი — ინსტრუქტორი. აპ-ს საგენტოს ცნობით ექსპედიციის წევრებმა, ამ უბედურების მიუხედავად, ასვლა გააგრძელეს.

ახალი სამინისტრო

რუმინეთში სპორტის ახალი სამინისტრო შეიქმნა. იგი შეცვლის ფიზიკური კულტურისა და სპორტის ძველ ეროვნულ საბჭოს. ახალი მინისტრი მირჩა ანგელესკუ, რომელიც მანამდე რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობდა, პირველი სამოქალაქო პირია. ქვეყნის სპორტული ცხოვრების თავკაცობა რომ მიენდო.

დაინიშნა ახალი მინისტრის ორი მოადგილეც. ესენი არიან რუმინეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი კორნია დინუ და ყოფილი მორაგბე მიხაი ისპასი. ანგელესკუმ ხელმძღვანელ პოსტზე შეცვალა გენერალი კონსტანტინე ოპრია.

რედაქტორის მოადგილე

უ. ჭიჭინაძე

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-3 ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.649.329 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (25) მოგება 2.596 მანეთია, ოთხისთვის (1.721) — 43, სამისთვის (36.158) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 39.474 ვარიანტი. 6-0, 5-2, (სოხუმი, ოზურგეთი), 4-50, 3-899.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 17.403.225 ვარიანტი, 5 ნომრის გამოცნობისთვის (47) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (9.477) —108, სამისთვის (277.936) — 4.

საქართველოში: დაშვებულია 505.062 ვარიანტი. 5-1 (ოზურგეთი), 4-302, 3-8.143.

მესამე და 1989 წლის 47-ე ტირაჟიდან 1990 წლის მე-3 ტირაჟის ჩათვლით მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 10 თებერვლიდან 10 მარტის ჩათვლით.

სპორტული ლატარიების მოუვარულთა საყურადღებოდ!

ლატარია „სპორტლოტოს“ მე-6 ტირაჟიდან მე-12 ტირაჟის ჩათვლით გათამაშდება 25 უფასო საგზური კეთილი ნების თამაშებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ ბილეთების მფლობელთა შორის, ვინც გამოიცნობს 6 ნომერს „სპორტლოტო 6 45“-ში და 5 ნომერს „სპორტლოტო 5 36“-ში.

„სპორტპროგნოზი“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-3 ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 4.205.686 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (693) მოგება 91 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (13.573) — 9 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (89.169) — 4 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 218.250 ვარიანტი. 13-33, 12-757, 11-4571.

მე-3 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 10 თებერვლიდან 10 მარტის ჩათვლით.

ლატარია „სპორტპროგნოზისა“ და ფეხბურთის მოუვარულთა საყურადღებოდ!

გრძელდება საგზურების გათამაშება იტალიის მსოფლიო ჩემპიონატისათვის ფეხბურთში.

თამაშის მონაწილენი, რომლებიც 1990 წლის პირველი შვიდი ტირაჟის განმავლობაში გამოიცნობენ 13 შეხვედრის შედეგს, მიიღებენ მონაწილეობას კონკურსში — უფასო საგზურების გათამაშებაში იტალიის ჩემპიონატზე.

ტურისტული საგზური 16-დღიანია — 7-დან 22 ივნისამდე. საგზურები გათამაშდება კენჭისყრით, ცენტრალურ ტელევიზიაში, „სპორტლოტოს“ ტირაჟის ჩატარების დროს.

ზუსტი ცნობები საგზურების გათამაშების შესახებ დაბეჭდილია „სოვეტსკი სპორტის“ 1989 წლის 30 დეკემბრისა და გაზეთ „ლელოს“ 1990 წლის 6 იანვრის ნომრებში.

გიწვევთ მონაწილეობა მიიღოთ ლატარია „სპორტპროგნოზის“ ტირაჟში.

ნუ გაუშვებთ ხელიდან შემთხვევას გახდეთ ფეხბურთში იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მფლობელნი.

საქსპორტლოტო.

ინდექსი 88435. საქართველოს კპ ცკ- გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხიშარიულის ქ. 29. უე 00351